

დანართი #1



სსიპ შემოქმედებითი საქართველო აცხადებს კონკურსს 2019 წლის ვენეციის 58-ე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენაზე საქართველოს ეროვნული პავილიონით წარსადგენი პროექტის შესარჩევად.

საკონკურსო პირობები და შერჩევის წესი

1. ზოგადი ინფორმაცია

- 1.1 ორგანიზატორი - სსიპ შემოქმედებითი საქართველო (შემდგომში სსიპი);
- 1.2 შემსრულებელი - გამარჯვებული, პირველ ადგილზე გასული პროექტი;
- 1.3 პროექტების შერჩევა განხორციელდება საერთაშორისო კომისიის მიერ, რომელიც
- 1.4 დაკომპლექტებულია სფეროში მოღვაწე ქართველი და უცხოელი პროფესიონალებისაგან;
- 1.5 პროექტების მიღების ვადა - **2018 წლის 12 სექტემბრიდან 2018 წლის 26 ოქტომბერს 17:00 საათამდე;**
- 1.6 გამოფენა ხორციელდება საერთო კონცეფციის ქვეშ **“გეცხოვროთ საინტერესო დროს”(May You Live in Interesting Times)** კურატორი რალფ რუგოფი (**Ralph Rugoff**) იხილეთ თანდართული კონცეფცია ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- 1.7 ექსპოზიციის არაოფიციალური გახსნა მხოლოდ მოწვეული სტუმრებისათვის 2019 წლის **8 – 10 მაისი;**
- 1.8 გამოფენის ოფიციალური გახსნა - **2019 წლის 11 მაისი**, გაგრძელდება 2019 წლის 24 ნოემბრამდე;
- 1.9 საქართველოს ეროვნული პავილიონისათვის განკუთვნილია **74 კ.მ. ფართობის სივრცე არსენალის (Arsenale) ტერიტორიაზე;**
- 1.10 გამარჯვებული პროექტისათვის განკუთვნილი მასიმალური თანხა შეადგენს **160 000 ლარს** გადასახადებით გათვალისწინებით და ანაზღაურდება ხარჯალრიცხვის მიხედვით;
- 1.11 სარეზერვო პროექტი - მეორე და მესამე ადგილზე გასული პროექტები;

2. კონკურსის მიზანი:

2.1 ვენეციის 58-ე ხელოვნების გამოფენაზე საქართველოს ეროვნული პავილიონით წარსადგენი პროექტის შერჩევა.

3. კონკურსის პირობები:

3.1 კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, რომელიც ეთანხმება კონკურსის წესის ყველა პირობას;

3.2 კონკურსი გაიმართება სამ ეტაპად:

3.2.1 პირველი ეტაპი - სსიპში წარმოდგენილ ყველა პროექტს განიხილავს სსიპში არსებული კონკურსზე მომუშავე ტექნიკური ჯგუფი, რომელიც შედგება ადმინისტრაციული - ხელმძღვანელი, პროექტის კოორდინატორის, ფინანსური და სამართლებრივი მენეჯერებისგან, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მონაწილე პროექტების კონკურსზე დაშვების/არდაშვების შესახებ; პროექტი დაშვებულად ჩაითვლება მხოლოდ საკონკურსო პირობებით მოთხოვნილი, სრულად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემთხვევაში, რის შესახებ განმცხადებელს ეცნობება დაუყოვნებლივ, მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის მეშვეობით (იხ. პუნქტი # 7. მონაწილეობის პირობები და პუნქტი # 9. წარმოსადგენი დოკუმენტაცია); პროექტის დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის შესაძლებლობა განმცხადებელს აქვს პროექტების მიღების ვადის ამოწურვამდე (**2018 წ. 26 ოქტომბერს 17:00 საათამდე**);

3.2.2 მეორე ეტაპი - კომისია შედგება 5 წევრისგან, რომელთაგან ერთ-ერთი წარმოადგენს კომისიის თავჯდომარეს. კომისიის ყველა წევრი ინდივიდუალურად იღებს ტექნიკური ჯგუფის მიერ დადასტურებულ უხარვეზო პროექტს ელექტრონულ მისამართზე, ხოლო შეფასებას ცხრილის და კომენტარების სახით აგზავნის სსიპ შემოქმედებითი საქართველოს ოფიციალურ ელექტრონულ მისამართზე biennale@creativegeorgia.ge.

3.2.3 მესამე ეტაპი - კომისია ავლენს პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასულ პროექტებს, ქულების ჯამის რაოდენობის მიხედვით თითოეული კომისიის წევრი ავასებს (მაქსიმალური ქულა 95, ხოლო მინიმალური 30);

3.2.4 პროექტების შერჩევა კომისიის წევრების მიერ ხდება შემდეგი კრიტერიუმების შეფასებით:

ა) კონცეფცია და მისი შესაბამისობა ვენეციის ბიენალეს ძირითად კონცეფციასთან

მიმართებაში (10-დან 30 ქულამდე);

ბ) პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის გამოცდილება (5-დან 15 ქულამდე);

გ) ექსპოზიციის დიზაინი და ტექნიკური სპეციფიკაცია (10-დან 30 ქულამდე);

დ) ბიუჯეტის შესაბამისობა გამოფენის კონცეფციასა და ექსპოზიციის დიზაინთან მიმართებაში (5-დან 20 ქულამდე);

3.3 კომისია შეაფასებს წარმოდგენილ პროექტებს მიღების დასრულებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში;

3.4 კონკურსანტებს შორის ქულების რაოდენობის თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში, აღნიშნული პროექტების ხელახალი შეფასების მიზნით ონლაინ რეჟიმში გაიმართება პროექტების ხელმძღვანელების ინტერვიუ კომისიის წევრებთან, სადაც პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს კომიის მოთხოვნის შესაბამისი ვიზუალური ან სხვა სახის ინფორმაცია. (აღნიშნულის შეფასებისათვის კომისიის წევრებს ეძლევათ 5 კალენდარული დღე, შეფასება განხორციელდება ქულების სისტემის გარეშე, ხმის მიცემით);

3.5 გამარჯვებული პროექტის წარმომადგენელსა და სსიპს შორის ფორმდება პროექტის განხორციელების ხელშეწყობის ხელშეკრულება;

3.6 ბიენალესათვის შექმნილი ნამუშევრის ქონებრივი უფლება განისაზღვრება სამინისტროსთან შეთანხმებით, გამარჯვებულ კონკურსანტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე;

3.7 სამინისტრო და სსიპ უფლებამოსილია დამატებითი თანხმობისა და ნებართვის გარეშე ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე გამოიყენოს გამარჯვებული (საქართველოს ეროვნულ პავილიონზე წარსადგენი) პროექტი და მისი სახელწოდება ნებისმიერი ტიპის სარეკლამო თუ წარდგენითი ხასიათის აქტივობაში.

3.8 გამარჯვებული პროექტის კურატორის მიერ სსიპისათვის და ბიენალესთვის ყველა საჭირო ინფორმაციის/დოკუმენტაციის დროულად/დადგენილ ვადებში არ მიწოდების და ხელშეკრულების პირობების უხეშად დარღვევის შემთხვევაში ვენეციის 58-ე საერთაშორისო ხელოვნების გამოფენაზე საქართველოს ეროვნულ პავილიონზე წარდგენის მიზნით სარეზერვო პროექტის წარმომადგენელთან (ჯერ მეორე ადგილზე გასული, მერე მესამე) გაფორმდება პროექტის განხორციელების ხელშეწყობის ხელშეკრულება;

4. გამარჯვებული პროექტის კურატორი/ავტორი/ხელმძღვანელი ვალდებულია:

4.1 ითანამშრომლოს სსიპთან და მოთხოვნის შემთხვევაში განახორციელოს პროექტის კორექტირება და გარკვეული ცვლილებების შეტანა;

4.2 დადგენილ ვადებში მიაწოდოს სსიპს შესაბამისი ინფორმაცია მათ შორის: ვენეციის ბიენალესათვის წარსადგენი პროექტის წინასწარი ვერსია (კომისიის წევრების რეკომენდაციების გათვალისწინებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში) - **2018 წლის 15 დეკემბრამდე** პროექტის საბოლოო ვერსია - **2019 წლის 15 იანვრამდე**;

4.3 დროულად დაიწყოს სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო პროცედურების განხორციელება;

4.4 დაიცვას სამუშაოების შესრულების განრიგი (გამოფენის მომზადება, აწყობა, გახსნა, დემონტაჟი)

4.5 დაემორჩილოს „ვენეციის ბიენალეს“ წესებს (ნებისმიერი სახის ცვლილების წინასწარ შეთანხმება, კატალოგისათვის დროულად მასალების მოწოდება, ტრანსპორტირება, დაზღვევა და მონტაჟი. იხილეთ პუნქტი #8 პავილიონის ტექნიკური პირობები (მახასიათებლები);

4.6 მოამზადოს ყველა საჭირო პუბლიკაცია და სარეკლამო მასალა (ეროვნული პავილიონის კატალოგი, პოსტერი, მოსაწვევი და სხვა);

5. სსიპი უფლებამოსილია/ვალდებულია:

5.1 საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს ვენეციის 58-ე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენაზე საქართველოს ეროვნული პავილიონით წარსადგენი პროექტის კორექტირება/ცვლილებების შეტანა;

5.2 სსიპი იგივე უფლებებით სარგებლობს იმ შემთხვევაშიც, თუ გამოფენაზე საჭირო გახდა სარეზერვო პროექტის გატანა;

5.3 არ წარუდგინოს ჟიურის წევრებს საპროექტო განაცხადი რომელიც სრულად არ იცავს კონკურსის წესის პირობებს;

5.4 საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში:

მიიღოს კონკურსის გაუქმების გადაწყვეტილება;

არ დაიწყოს გამარჯვებული პროექტის განხორციელება;

მიიღოს სარეზერვო პროექტის განხორციელების გადაწყვეტილება;

5.5 კომისიის წევრების მიერ გამოვლენილი გამარჯვებული და სარეზერვო პროექტების შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნოს სსიპის ოფიციალურ ვებ-გვერდზე creativegeorgia.ge

6. საკონკურსო კომისია:

6.1 საკონკურსო კომისიის (შემდგომში კომისია) წევრებს არჩევს სსიპ და ათანხმებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან;

6.2 კომისია შედგება ქართველი და უცხოელი თანამედროვე ხელოვნების სფეროს კვალიფიციური 5 ექსპერტისაგან -ერთი თავჯდომარე და 4 წევრი;

6.3 კომისიის წევრებს უნდა ჰქონდეთ ვენეციის ბიენალესთან ან სხვა მსგავს საერთაშორისო ღონისძიებასთან მუშაობის გამოცდილება (კომისიის წევრი, მონაწილე, კურატორი ან კონსულტანტი, კოორდინატორი);

6.4 კომისიის წევრი უნდა იყოს თანამედროვე ხელოვნების სფეროს ცნობადი ორგანიზაციის წარმომადგენელი, ან თავად ქონდეს აღნიშნულ სფეროში დიდი გამოცდილება. სახელმწიფო სტრუქტურის შემთხვევაში აღნიშნულ სტრუქტურას ან/და თავად წევრობის კანდიდატს უნდა ქონდეს გამოცდილება თანამედროვე ხელოვნების სფეროსთან მიმართებაში .

6.5 კომისიის წევრებს განაცხადების მიღების დასრულების შემდეგ ეგზავნებათ წარმოდგენილი განაცხადები;

6.6 კომისიის წევრები ძირითადი შემდეგი კრიტერიუმებით აფასებენ განაცხადებს: კონცეფცია და მისი რელევანტურობა ბიენალეს მთავარ კონცეფციასთან, წარმოდგენილი პროექტის ვიზუალური მხარე, სამუშაო ჯგუფის გამოცდილება და წარმოდგენილი ხარჯადრიცხვის ადეკვატურობა წარმოდგენილ პროექტთან მიმართებაში;

6.7 საბოლოო შეფასებას, კომისიის ყველა წევრები, 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში, ხელმოწერილი შეფასების ცხრილის ფორმით, აგზავნის სსიპ შემოქმედებითი საქართველოს ოფიციალურ ელექტრონულ მისამართზე biennale@creativegeorgia.ge;

6.8 გამარჯვებული ვლინდება კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების დაჯამებით;

6.9 კომისიის წევრებს შეუძლიათ წარმოადგინონ რეკომენდაციები წარმოდგენილ პროექტებზე;

6.10 საჭიროების შემთხვევაში კომისიის წევრებს აქვთ უფლება მოიწვიონ დამატებით ექსპერტები;

6.11 კომისიის წევრების ვინაობა ცხადდება გამარჯვებულისა და სარეზერვო პროექტების გამოცხადებასთან ერთად;

6.12 თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, კომისიის წევრები ახორციელებენ ინტერვიუს პროექტების ხელმძღვანელებთან, სსიპ შემოქმედებითი საქართველოს ტექნიკური ჯგუფის მიერ ორგანიზებული სატელეფონო ან სკაიპ კონფერენციის მეშვეობით, სსიპ შემოქმედებითი საქართველოს ფაქტობრივ მისამართზე ვ.დოლიძის ქ. კორპუსი 28, იმისათვის, რომ გამოავლინონ პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული პროექტები;

6.13 ინტერვიუზე მოწვეული პრეტენდენტები ვალდებული არიან წარმოადგინონ კომისიის მიერ მოთხოვნილი დამატებითი ვიზუალური მასალა ან დოკუმენტაცია, წინასწარ სსიპ შემოქმედებითი საქართველოს მიერ მიწოდებული მოთხოვნის შესაბამისად. ინტერვიუზე უარის თქმის ან არ გამოცხადების შემთხვევაში, პრეტენდენტი ავტომატურად ვარდება კონკურსიდან.

7. მონაწილეობის პირობები

7.1 კურატორი და პროექტის ავტორი შესაძლებელია იყოს ერთი და იგივე პირი, რომელიც აკმაყოფილებს წესში მითითებულ ყველა პირობას;

7.2 ერთი და იგივე კურატორმა ან ჯგუფმა შესაძლებელია წარმოადგინოს რამოდენიმე პროექტი;

7.3 კურატორი, საორგანიზაციო ჯგუფი (ჯგუფის ერთ-ერთი წევრი) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- 1) კურატორობის და გამოფენების ორგანიზების მაღალი კვალიფიკაცია: სფეროს კარგი ცოდნა, საერთაშორისო გამოფენებში და პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება;
- 2) ვენეციის ბიენალეს პრინციპის და პირობების ცოდნა;
- 3) მენეჯმენტის და გამოფენის ორგანიზებისათვის ტექნიკური უზრუნველყოფის უნარი;
- 4) თანამედროვე ხელოვნების სფეროში კარგი საერთაშორისო კონტაქტების ქონა რაც მათ გამოცდილებასა და ცნობადობაზე მეტყველებს, წარმოდგენილი რეკომენდაციის სახით;
- 5) PR კამპანიის და პროექტის ტექნიკური უზრუნველყოფის უნარი ან შესაბამისი ორგანიზაციის დაქირავების შესაძლებლობა, წარმოდგენილი აღნიშნული კომპანიისგან თანხმობის წერილის სახით;
- 6) ინგლისური ენის კარგი ცოდნა;

7.4 პროექტი შესაძლებელია იყოს საერთაშორისო კურატორებით/ხელოვანებით დაკომპლექტებული;

7.5 წარმოდგენილი პროექტი აუცილებლად უნდა პასუხობდეს ბიენალეს ძირითად თემას და საქართველოსათვის აქტუალურ თემატიკაზე უნდა იყოს აგებული;

7.6 აუცილებელია პროექტში ქართველი ხელოვანების მონაწილეობა;

8. პავილიონის ტექნიკური პირობები (მახასიათებლები):

აუციელებელია ქვემოთ ჩამოთვლილი პავილიონის ტექნიკური მახასიათებლების გათვალისწინება პროექტის დიზაინისა და მისი ხარჯთაღრიცხვა შედგენისას.

8.1 პავილიონის საერთო ფართი შეადგენს 74 კ.მ. ფართობის სივრცე, არსენალის (Arsenale) ტერიტორიაზე; იხ. დეტალური გეგმა (ფორმატი: PDF)

8.2 პავილიონის კედლები აშენებულია თაბაშირმუყაოთი და აგურით, სახურავში სინათლისათვის დატოვებული სივრცის ირგვლივ დარჩენილი ჭერის ნაწილი გაკეთებულია მყარი ბეტონის კონსტრუქციით;

8.3 დაუშვებელია პავილიონის აგურის კედლებზე, ჭერსა და იატაკზე მუშაობა, შესაბამისად ყველა საგამოფენო ნამუშევარი უნდა იდგეს დამოუკიდებლად ან გამოყენებული იქნას მუყაო-თაბაშირის კედლები;

8.4 პავილიონის სტრუქტურის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ დაირღვევა მისი ერთიანობა. გამონაკლისს წარმოადგენს მარმარილოს იატაკი, რომლის შეცვლა და მასზე ზემოქმედება არ არის ნებადართული.

8.5 გამოფენის აწყობისა და მისი მიმდინარეობისას გათვალისწინებულ უნდა იქნას მშენებლობის უსაფრთხოებისა და ცეცხლის გაჩენის პრევენციული ნორმები, შენობის სპეციფიკიდან და იტალიის სახელმწიფოს რეგულაციების მიხედვით.

8.6 პავილიონში ყველა ჩასატარებელი სამუშაო წინასწარ უნდა შეთანხმდეს ვენეციის ბიენალეს ტექნიკურ და ლოგიკტიკურ დეპარტამენტთან და დაშვებული მხოლოდ ოფიციალური დასტურის შემდგომ.

8.7 პროექტი შესათანხმებლად უნდა იქნას წარმოდგენილი არქიტექტურული ნახაზის სახით, მასში უნდა იყოს გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმები, სივრცის პეციფიკიდან გამომდინარე როგორცაა, კონსტრუქცია, ელექტროობა/განათება და სხვა.

8.8 პავილიონში არ არის დამონტაჟებული განათებისა და ხმის სისტემა.

8.9 პავილიონში არ არის ტექნიკური უზრუნველყოფის ან სასაწყობო სივრცე. ასევე არ არის სველი წერტილები და წყლის გაყვანილობა. ტექნიკური აღჭურვილობის შენახვა და განთავსება, სამინისტროს რეკომენდაციით, გათვალისწინებული უნდა იყოს პროექტში და მის სავარაუდო ხარჯაღრიცხვაში. 8.10

ასევე სირცის ქირა არ ითვალისწინებს პავილიონის პერიოდულ დასუფთავებასა, დაცვას და წარმომადგენლობას პავილიონში შესაბამისად აღნიშნული პუნქტები უნდა იქნას გათვალისწინებული პროექტის ხარჯაღრიცხვაში. 8.11

პავილიონში პროექტის აწყობა დაშლა და ტრანსპორტირება უნდა იქნას წინასწარ შეთანხმებული ბიენალეს ტექნიკურ დეპარტამენტთან.

9. წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

9.1 პროექტის წარმოდგენის შესახებ წერილი სსიპის დირექტორის სახელზე (წერილი უნდა იყოს ხელმოწერილი ორგანიზაციის ბლანკზე ან მითითებული უნდა იყოს განმცხადებელი ორგანიზაციის დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი, საკონტაქტო ინფორმაცია, მისამართი);

9.2 იურიდიული პირის პარტნიორთა კრების ოქმი წინამდებარე კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე თანხმობის შესახებ;

9.3 ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

9.4 საბანკო რეკვიზიტები;

9.5 გამოფენის კონცეფცია (1 გვერდამდე, ინგლისურ და ქართულ ენაზე);

9.6 გამოფენის მომზადების ვადები (time-table, ქართულ და ინგლისურ ენაზე);

9.7 პროექტის ვიზუალური მასალა ტექნიკური სპეციფიკაციებით, რაუმეტეს 25 MB ფორმატი PDF;

9.8 კურატორის და პროექტში მონაწილე პირთა ბიოგრაფიული მონაცემები (CV), სადაც მითითებული იქნება, როგორც მნიშვნელოვანი, ასევე ბოლო წლებში განხორციელებული პროექტები. ასევე, აუცილებელია მითითებულ იქნას პირადი, გალერეების ან სხვა ონლაინ ვებ-გვერდების ლინკები (ქართულ და ინგლისურ ენაზე);

9.9 ხელმოწერილი წერილობითი განმარტება (letter of statement), რომ პროექტი წარმოადგენს კურატორის პირად ნამუშევარს, რომლის საავტორო უფლება ეკუთვნის მას ან ავტორისაგან აქვს შესაბამისი მინდობილობა და პროექტში მონაწილეობის თანხმობა გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად (ქართულ ან/და ინგლისურ ენაზე). აღნიშნული დოკუმენტაცია დამოწმებული უნდა იქნეს ნოტარიული წესით.

9.10 გამოფენის განხორციელებისათვის საჭირო დეტალური ხარჯალრიცხვა, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს:

- 1) პროექტის განხორციელების ვადები;
- 2) მასალის ხარჯი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- 3) გადასატანი მასალების/ნამუშევრების რაოდენობა, ზომა და წონა, ფასი;
- 4) ტრანსპორტირება ვენეციამდე და უკან თბილისში (საჭიროების შემთხვევაში) / ვენეციიდან ბინეალემდე და უკან ტერმინალში;
- 5) გამოფენის/ინსტალაციის აწყობის და დაშლის ხარჯი/ტექნიკური მხარდაჭერა;
- 6) აღჭურვილობის/აპარატურის ქირა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- 7) პავილიონის მოდიფიცირების სამუშაოები/არქიტექტურული ნახაზი, სივრცის სპეციფიკიდან გამომდინარე და უსაფრტხოების ნორმების გათვალისწინებით;
- 8) სამუშაო ჯგუფის ფრენის და სასტუმროს ხარჯები იმ ვიზიტების დროს, რომელთა განხორციელებაც აუცილებელი იქნება გამოფენის ინსტალაციის/დეინსტალაციის მიზნით; (სსიპი ანაზღაურებს მხოლოდ იმ ფრენებისა და სასტუმროს ხარჯებს, რომლებიც ეხება გამოფენის აწყობა/დაშლის მიზნით სამუშაო ჯგუფის ვიზიტებს და ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 3 კვირას);

- 9) 7 თვის განმავლობაში-ბიენალეს მსვლელობისას, ზედამხედველის, დასუფთავების და ადგილზე გასაწევ სხვა საჭირო ხარჯებს;
- 10) ეროვნული პავილიონის კატალოგის, პუბლიკაციების და სარეკლამო მასალების (პოსტერი, მოსაწვევი და სხვ.) დიზანის და დამზადების ხარჯები, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნას საკურატორო პროექტში (კატალოგის მახასიათებლები და ბეჭდვის პირობები განისაზღვრება კურატორის მიერ);
- 11) კურატორის, ხელოვანთა, არქიტექტორთა და პროექტის განხორციელების პროცესში ჩართულ სხვა პირთა (ან სხვა დაქირავებულ პირთა), მათ შორის გამოფენის დამონტაჟებაზე მომუშავე ტექნიკოსთა ანაზღაურება;
- 12) პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე საქართველოში გასაწევი სხვადასხვა ხარჯები.

9.11 თანადაფინანსების შემთხვევაში საჭიროებას წარმოადგენს მიეთითოს თანხა და დოკუმენტაციას თან დაერთოს საგარანტიო ან სპონსორის თანხმობის წერილი.

9.12 აუცილებელია თანადაფინანსების მოძიება თუ პროექტის სავარაუდო ხარჯარრიცხვა აღემატება საკონკურსო თანხას - 160 000 ლარს;

10. განაცხადის მიღების წესი:

10.1 ყველა საჭირო დოკუმენტაციის მიღება ხორციელდება ელექტრონულ ფორმატში, შემდეგ ელ. მისამართზე **biennale@creativegeorgia.ge**

10.2 განაცხადი არ ითვლება მიღებულად ელექტრონულ ფოსტაზე დადასტურების მიღების გარეშე;

10.3 პროექტები სსიპის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე უნდა გამოიგზავნოს 2018 წლის 12 სექტემბრიდან 2018 წლის 26 ოქტომბერი 17:00 საათამდე

10.4 კონკურსში გამარჯვებული პროექტი გამოვლინდება პროექტების მიღების დასრულებიდან მაქსიმუმ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

* ყველა წარმოდგენილი დოკუმენტაცია უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენაზე.